საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2018 წლის 29 იანვარი

დადგენილება № 2694

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2017 წლის 19 სექტემბრის
№ 2556 დადგენილების ნაწილობრივი ბათილად ცნობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 09 იანვრის ოქმის და ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 11 იანვრის №76-01-82 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. ნაწილობრივ ბათილად იქნას ცნობილი აკადემიური საბჭოს 2017 წლის 19 სექტემბრის №2556 დადგენილება „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების ნაწილში; პროგრამის სახელწოდება „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ დარჩეს უცვლელად, უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 2 სექტემბრის №33 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის მე-3 რიგით ნომრად მითითებული „სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის" დამტკიცებული შინაარსით;
2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება ეცნობოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე